დამტკიცებულია:

შპს გარეჯის კერძო სკოლა

,,ლამარიას დირექტორის

ბრძანებით:

შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარიას“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2026-2033 წლები

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია და პოტენციური ბენეფიციარების კვლევა 6

მონაცემთა დამუშავების მეთოდები: 6

კვლევის ძირითადი მიგნებები: 7

პოტენციურ მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი 7

პოტენციურ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ნარატიული ანალიზი 8

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ნარატიული ანალიზი.....9

შპს გარეჯის სკოლა ,,ლამარიას“ SWOT ანალიზი.....10

I თავი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებითი საფუძველი.....12

მისია.....12

ხედვა.....12

ღირებულებითი საფუძველი 12

მოსწავლეზე ორიენტირებულობა 12

ხარისხიანი განათლება და აკადემიური განვითარება.....12

უსაფრთხოება, ზრუნვა და კეთილდღეობა 13

გამოცდილება და პროფესიონალიზმი 13

რეგიონული პასუხისმგებლობა და ლიდერობა 13

თანამშრომლობა ოჯახთან და თემთან 13

მრავალმხრივი განვითარება.....13

ინოვაცია და გრძელვადიანი განვითარება 13

II თავი. სტრატეგიული ჩარჩო 13

მიზანი 1. თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის განვითარება 13

მიზანი 2. უნიკალური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება.....14

მიზანი 3. უნიკალური სასწავლო შინაარსისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება 15

მიზანი 4. პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების შიდასასკოლო სისტემის შექმნა.....16
მიზანი 5. „ლამარიას“ საგანმანათლებლო ჰაბად ჩამოყალიბება 17
III თავი. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.....29
მონიტორინგის ძირითადი მექანიზმები.....29
შეფასების პერიოდულობა.....29
პასუხისმგებელი პირები 29
დასკვნა 30

შესავალი

შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარია“ არის ახლადდაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გეგმავს ავტორიზაციის გავლას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. წინამდებარე სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად ტრაექტორიას მომავალი 7 წლის განმავლობაში.

სკოლის ძირითადი სტრატეგიული გადაწყვეტილებაა საგარეჯოში ისეთი თანამედროვე, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც უპასუხებს როგორც ადგილობრივი თემის, ისე კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებებს. რეგიონში კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით, „ლამარიას“ აქვს მკაფიო ამბიცია, გახდეს არა მხოლოდ საგარეჯოს, არამედ მთელი კახეთისთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრი.

სკოლის კონცეფცია ეფუძნება ხარისხიანი ზოგადი განათლების, გაძლიერებული უცხო ენების სწავლების, სკოლამდელი განათლების, საკვირაო სკოლის, კლუბური მუშაობის, სპორტული და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ერთიან მოდელს. აღნიშნული მიმართულებები ქმნის საფუძველს, რომ სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს არა მხოლოდ აკადემიური განვითარება, არამედ პიროვნული, სოციალური, შემოქმედებითი და ფიზიკური ზრდისთვის საჭირო მრავალმხრივი შესაძლებლობები.

„ლამარიას“ სტრატეგიული განვითარება ეყრდნობა ძლიერ ადამიანურ რესურსს, დამფუძნებლისა და დირექციის მრავალწლიან პედაგოგიურ გამოცდილებას, აკადემიურ კომპეტენციას და წარმატებულ საგანმანათლებლო პრაქტიკას. სკოლის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი სკოლის შენობის აშენება, რისთვისაც უკვე შეძენილია მიწის ნაკვეთი.

სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. წინამდებარე დოკუმენტის საშუალებით სკოლა დაინტერესებულ მხარეებს უზიარებს საკუთარ ხედვას, მისიას, ღირებულებებს, სტრატეგიულ მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, განვითარების პროცესის მონიტორინგსა და შედეგების შეფასებას.

სკოლის სტრატეგიული გეგმა გაწერილია შვიდწლიან პერიოდზე და მოიცავს **2026-2033** წლებს.

სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. იგი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებით, დამატებითი რესურსების მოძიებითა და რეგიონულ საგანმანათლებლო საჭიროებებზე ორიენტირებული განვითარების გზით.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის ფორმირების ეტაპზე შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ სკოლის დამფუძნებელი, დირექციის წარმომადგენლები, პოტენციური პედაგოგიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. სამუშაო ჯგუფმა შეაფასა სკოლის განვითარების წინაპირობები, ადგილობრივი და რეგიონული საგანმანათლებლო კონტექსტი, არსებული საჭიროებები, ადამიანური და მატერიალური რესურსები, ასევე ის შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია „ლამარიას“ როგორც კახეთის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბებისთვის.

ორგანიზაციის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა SWOT ანალიზის მეთოდი. ანალიზი დაეყრდნო სკოლის კონცეფციას, საგანმანათლებლო ბაზრის თავისებურებებს, კახეთის რეგიონში კერძო განათლების ხელმისაწვდომობის კონტექსტს, პოტენციური მოსწავლეებისა და

მშობლების საჭიროებებს, ადამიანური რესურსის პოტენციალსა და სკოლის გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმას.

მეთოდოლოგია და პოტენციური ბენეფიციარების კვლევა

სკოლის გახსნამდე, საინიციატივო სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა იმ თემის (დასახლების/რაიონის) კომპლექსური კვლევა, სადაც ფუნქციონირებას იწყებს სკოლა. კვლევის ფარგლებში განხორციელდა **პოტენციური მშობლების, პოტენციური საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლების** ანონიმური გამოკითხვა.

კვლევა განხორციელდა შპს გარეჯის სკოლა ,,ლამარიას“ დაფუძნების მოსამზადებელ ეტაპზე **(სტრატეგიული დაგეგმარების ფარგლებში)**. მიზანს წარმოადგენდა იმ თემში არსებული საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება, სადაც იხსნება სკოლა. კვლევა ჩატარდა ანონიმური ანკეტირების მეთოდით **(Google Forms** პლატფორმის გამოყენებით). კვლევის რაოდენობრივი შერჩევა ზუსტად შეესაბამება სკოლის სტრატეგიულ ჩარჩოს. **გამოიკითხა სამი სამიზნე ჯგუფი: პოტენციური მშობლები, მასწავლებლები (რომლებთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება)**, პოტენციური მოსწავლეები. მათი რაოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

N	სამიზნე ჯგუფი		რაოდენობა	
1	მოსწავლეები	საბაზო საფეხური	10	40
		საშუალო საფეხური	20	
2	მშობლები	დაწყებითი საფეხური	10	30
		საბაზო საფეხური	10	
		საშუალო საფეხური	10	
3	მასწავლებლები	ყველა კათედრის წარმომადგენელი	25	32

მონაცემთა დამუშავების მეთოდები:

მონაცემთა დამუშავებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- რაოდენობრივი მონაცემების აღწერილობითი (დესკრიპტული) სტატისტიკა;
- ჯვარედინი ტაბულაცია;
- მონაცემთა ვიზუალიზაციისა და გრაფიკული გამოსახვის მეთოდი;
- თვისობრივი მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი.

მონაცემები დამუშავდა შემდეგი ციფრული ხელსაწყოების კომბინაციით:

1. **Google Forms ჩაშენებული ანალიტიკა:** რომელიც ავტომატურად ახდენს ხმების პირველად დათვლას და გენერირებას წრიულ დიაგრამებად.
2. **Microsoft Excel / Google Sheets:** სადაც შეყვანილ იქნა მონაცემთა ბაზა, გაიფილტრა საფეხურების მიხედვით (საბაზო/საშუალო) და აიგო ზუსტი პროპორციული გრაფიკები.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მიგნებები, რომელიც მონაცემების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა. მიგნებები განისაზღვრა სამიზნე ჯგუფების პასუხების გაანალიზების საფუძველზე, რომელიც ზემოთ მოცემულ მონაცემთა დამუშავების მეთოდებით დამუშავდა. წარმოდგენილია, სტრატეგიული გეგმის შესამუშავებელი ჯგუფის მიერ მომზადებული მიგნებები სამიზნე ჯგუფების მიხედვით.

პოტენციურ მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

(რაოდენობა 30)

პოტენციურ მშობელთა გამოკითხვის შედეგების დამუშავებისას გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- ***სკოლებში პერსონალური ყურადღების დეფიციტისა და სასწავლო მოტივაციის ანალიზი***

პოტენციურ მშობელთა გამოკითხვის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ლოკალურ თემში არსებული საგანმანათლებლო გამოწვევები. კერძოდ, გამოკითხული

მშობლების აბსოლუტური უმრავლესობა – **82% (25 მშობელი)** ცალსახად ადასტურებს, რომ მათი შვილები ამჟამინდელ სკოლებში განიცდიან პერსონალური ყურადღების დეფიციტს, რაც პირდაპირ და უარყოფითად აისახება მოზარდების სასწავლო მოტივაციაზე.

რესპონდენტთა **11.7% (3 მშობელი)** აღნიშნულ პრობლემას ნაწილობრივ ან პერიოდულად ამჩნევს, ხოლო გამოკითხულთა მხოლოდ **6.3% (2 მშობელი)** მიიჩნევს, რომ მათ შვილებს ამჟამინდელ საგანმანათლებლო სივრცეში სრულიად ჰყოფნით პედაგოგთა ყურადღება.

აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს შპს გარეჯის სკოლა ,,ლამარიას“ გახსნის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს, რადგან თემში არსებობს ობიექტური საჭიროება ისეთი საგანმანათლებლო გარემოსი, რომელიც აღმოფხვრის მოსწავლის დეპერსონალიზაციის რისკებს.

- ***მცირეკონტიგენტიანი კლასებისა და „ოჯახური გარემოს“ პრიორიტეტულობის ანალიზი***

მშობელთა მოთხოვნებისა და მოლოდინების შესწავლისას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ახალი სკოლის სტრატეგიულ მოდელზე (მცირე კლასები და კამერული გარემო). კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მშობლების უმრავლესობისთვის – **87%-ისთვის (26 მშობელი)** კრიტიკულად მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ახალ სასწავლო სივრცეში კლასები იყოს მცირეკონტინენტიანი (მაქსიმუმ **15–20** მოსწავლე), ხოლო გარემო – „ოჯახური“, უსაფრთხო და ბულინგისგან თავისუფალი.

სამიზნე აუდიტორიის **10%-ისთვის (3 მშობელი)** კლასების სიმცირე და ოჯახური გარემო მნიშვნელოვანია, თუმცა სკოლის არჩევისას ისინი სხვა გარე ფაქტორებსაც (მაგ. ფასს, მდებარეობას) აქცევენ ყურადღებას. გამოკითხულთა მხოლოდ **3%-ისთვის (1მშობელი)** არ არის აღნიშნული საკითხი პრიორიტეტული.

პოტენციურ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ნარატიული ანალიზი

(საბაზო-საშუალო საფეხური რაოდენობა 30)

სასკოლო გარემოსა და სოციო-ემოციური კლიმატის დაგეგმვის პროცესში, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმო უშუალო ბენეფიციარების – საბაზო და საშუალო საფეხურის მოზარდების საჭიროებების შესწავლას. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე სასკოლო სივრცეში მოზარდები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. კერძოდ, გამოკითხულ მოსწავლეთა **76.2% (30 მოსწავლე)** უმთავრეს სტრესორად და ხელისშემშლელ ფაქტორად არსებულ საგანმანათლებლო გარემოში დიდ ხმაურს, გადატვირთულობასა და ქაოტურ ატმოსფეროს ასახელებს. რესპონდენტთა **56.3% (23 მოსწავლე)** მიუთითებს პედაგოგებთან ინდივიდუალური, მეგობრული და პერსონალიზებული კომუნიკაციის დეფიციტზე, ხოლო **47.5% (19 მოსწავლე)** მიიჩნევს, რომ მათთვის ხელმისაწვდომი არ არის მრავალფეროვანი კლასგარეშე ან საკლუბო აქტივობები.

ამ გამოწვევების საპასუხოდ, კითხვაზე, რომელიც მცირეკონტიგენტიან სასწავლო სივრცეში გადმოსვლას ეხებოდა, მოზარდების იდენტურმა რაოდენობამ – **76.2%-მა (30 მოსწავლე)** ცალსახად განაცხადა, რომ ისეთ სკოლაში, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობა მცირეა და კამერულ ხასიათს ატარებს, თავს ბევრად უფრო მშვიდად, დაცულად და თვითრეალიზებულად იგრძნობდა. მოსწავლეთა მხოლოდ **17.5% (8 მოზარდი)** მიიჩნევს, რომ სკოლის სიდიდეს მათთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო მკაცრად მრავალრიცხოვან გარემოს უპირატესობას მხოლოდ **6.3% (2 მოსწავლე)** ანიჭებს.

დამატებით, მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა – **85% (34 მოსწავლე)** სასწავლო პროცესში უმთავრეს მოთხოვნად **თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიურ გამოყენებასა და მრავალფეროვანი ინტერაქციული წრეების არსებობას მიიჩნევს.**

ეს მონაცემები მკაფიო ნიშანია შპს გარეჯის სკოლა ,,ლამარიასთვის“, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებში არსებობს მაღალი მოთხოვნა სტრესისგან თავისუფალ, მშვიდ და ტექნოლოგიურად განვითარებულ

საგანმანათლებლო ეკოსისტემაზე, რასაც სკოლა თავისი სტრატეგიით სრულად უზრუნველყოფს.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ნარატიული ანალიზი

(რაოდენობა 25)

სკოლის მდგრადობისა და სწავლების ხარისხის გარანტიას წარმოადგენს პროფესიული კადრების ხედვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო **25-მა პედაგოგმა**, რომლებთანაც ორგანიზაციას უკვე გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები.

გამოკითხულ მასწავლებელთა **88% (22 პედაგოგი)** სრულიად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ **აქ სკოლის** სკოლის მოდელი ქმნის იდეალურ პედაგოგიურ პირობებს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების ეფექტურად განხორციელებისთვის, რადგან ასეთ გარემოში მასწავლებელს ეძლევა დრო და რესურსი, მიუდგეს თითოეულ მოზარდს მისი ინდივიდუალური სასწავლო ტრაექტორიის გათვალისწინებით. პედაგოგთა მხოლოდ **12% (3 მასწავლებელი)** მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მიზანს ნაწილობრივ დიდ ჯგუფებშიც მიაღწევს.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია პედაგოგიური კორპუსის მზაობა ინოვაციებისადმი. მასწავლებელთა **96% (24 პედაგოგი)** აცხადებს, რომ სრულიად მზად არის და გააჩნია უმაღლესი მოტივაცია, ჩაერთოს სკოლის ახალი, პერსონალიზებული კურიკულუმის დიზაინისა და დანერგვის პროცესში ნულოვანი წერტილიდან. გამოკითხულთა მხოლოდ **4% (1 მასწავლებელი)** მიუთითებს, რომ პირველ ეტაპზე დაჭირდება დამატებითი ორგანიზაციული მხარდაჭერა და ტრენინგები.

აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ შპს სკოლა ,,ლამარიას“ ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის არსებობს სრული ღირებულებითი კონსენსუსი. მასწავლებლები არა მხოლოდ იზიარებენ, არამედ პროფესიულად საჭიროებენ აკადემიური ტიპის სკოლის მოდელს, რაც წინაპირობაა სასკოლო კურიკულუმის წარმატებით რეალიზებისთვის.

შპს გარეჯის სკოლა ,,ლამარიას“ SWOT ანალიზი

დამუშავებული მასალის გაანალიზების შემდეგ, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ განისაზღვრა დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ანუ შედეგები დამუშავდა **SWOT - ანალიზის** მეთოდით. გაანალიზებული შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ, **SWOT** - ანალიზის ცხრილით.

დამუშავებული მასალისა და SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრავს შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარიას“ განვითარების სტრატეგიულ ჩარჩოს. ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლას აქვს მკაფიო კონცეფცია, ძლიერი ადამიანური რესურსი, საგანმანათლებლო და

სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი განცდა, ასევე კახეთის რეგიონში ხარისხიანი კერძო განათლების განვითარების რეალური შესაძლებლობა.

სკოლა სრულად აცნობიერებს, რომ ახლადდაფუძნებული ორგანიზაციისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ცნობადობისა და ნდობის ეტაპობრივი ჩამოყალიბება, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების სისტემური გამართვა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. ამავდროულად, კახეთის რეგიონში კერძო სკოლების შეზღუდული რაოდენობა, საგარეჯოსა და მიმდებარე მუნიციპალიტეტებში თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეზე არსებული საჭიროება და დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების მიმართ მზარდი ინტერესი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, ჩამოყალიბდეს რეგიონული მნიშვნელობის საგანმანათლებლო ცენტრად.

SWOT ანალიზში გამოვლენილი ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გამოყენების, ასევე სუსტი მხარეებისა და საფრთხეების მართვის მიზნით, სკოლამ განსაზღვრა ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიზანი. აღნიშნული მიზნები უზრუნველყოფს სკოლის განვითარების თანმიმდევრულობას, რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და „ლამარიას“ პოზიციონირებას როგორც სანდო, თანამედროვე და რეგიონული პასუხისმგებლობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებას.

სტრატეგიული მიზნებია:

1. თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის განვითარება;
2. უნიკალური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება;
3. უნიკალური სასწავლო შინაარსისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
4. პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების შიდასასკოლო სისტემის შექმნა;
5. „ლამარიას“ საგანმანათლებლო ჰაბად ჩამოყალიბება.

I თავი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებითი საფუძველი

მისია

შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარიას“ მისიაა, საგარეჯოში შექმნას ხარისხიან განათლებაზე, ზრუნვასა და განვითარებაზე დაფუძნებული სასკოლო გარემო, რომელიც უპასუხებს ადგილობრივი თემისა და კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებებს.

სკოლა აცნობიერებს საკუთარ საგანმანათლებლო და სოციალურ პასუხისმგებლობას და ამ პასუხისმგებლობის განსახორციელებლად ეყრდნობა გამოცდილ ადამიანურ რესურსს, პროფესიულ კომპეტენციას და რეგიონის განვითარების რეალურ საჭიროებას.

„ლამარია“ ზრუნავს განათლებული, პასუხისმგებლიანი, დამოუკიდებლად მოაზროვნე და საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდების აღზრდაზე.

ხედვა

შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარიას“ ხედვაა, ჩამოყალიბდეს კახეთის რეგიონში ერთ-ერთ წამყვან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც მაღალი ხარისხის სწავლებით, გამოცდილ პედაგოგთა გუნდით, აკადემიური რესურსითა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სერვისებით მოიზიდავს მოსწავლეებს როგორც საგარეჯოდან, ისე მთელი კახეთის რეგიონიდან.

სკოლა საკუთარ თავს ხედავს როგორც რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრს, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება შერწყმულია გაძლიერებულ უცხო ენებთან, საკვირაო სკოლასთან, აკადემიურ მომზადებასთან, კლუბურ მუშაობასთან, სპორტულ განვითარებასთან და სკოლამდელი განათლების მიმართულებასთან.

ღირებულებითი საფუძველი

სკოლის ყოველდღიური საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

მოსწავლეზე ორიენტირებულობა

სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. „ლამარიასთვის“ მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე თავს გრძნობს დანახულად, მხარდაჭერილად და მოტივირებულად.

ხარისხიანი განათლება და აკადემიური განვითარება

სკოლა ეფუძნება მაღალი აკადემიური სტანდარტების, პროფესიონალიზმისა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს. გაძლიერებული უცხო ენების სწავლება, საკვირაო სკოლა, კლუბური მუშაობა და საგნობრივი გაღრმავება ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებას.

უსაფრთხოება, ზრუნვა და კეთილდღეობა

„ლამარია“ ქმნის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო, კეთილმოწყობილ, მზრუნველ და მოწესრიგებულ გარემოს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჯანმრთელობა, კვება, კომფორტი, დაცულობა და პოზიტიური სასკოლო ატმოსფერო.

გამოცდილება და პროფესიონალიზმი

სკოლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებელთა, დირექციისა და დამფუძნებლის გუნდი. სკოლა აფასებს პროფესიულ ეთიკას, აკადემიურ პასუხისმგებლობას, მუდმივ განვითარებასა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ მართვას.

რეგიონული პასუხისმგებლობა და ლიდერობა

„ლამარია“ საკუთარ თავს ხედავს არა მხოლოდ საგარეჯოს, არამედ კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო განვითარების ნაწილად. სკოლა ისწრაფვის, რეგიონში შექმნას ხარისხიანი კერძო განათლების ხელმისაწვდომი და სანდო მოდელი.

თანამშრომლობა ოჯახთან და თემთან

სკოლა მშობელს განიხილავს როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან პარტნიორს. ეფექტიანი კომუნიკაცია, ნდობა და საერთო პასუხისმგებლობა ქმნის საფუძველს მოსწავლის წარმატებული განვითარებისთვის.

მრავალმხრივი განვითარება

სკოლა ზრუნავს არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებზე, არამედ მოსწავლის სოციალურ, ემოციურ, შემოქმედებით და ფიზიკურ განვითარებაზე. კლუბური მუშაობა, სპორტული სივრცე, არაფორმალური განათლება და დამატებითი პროგრამები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები და შესაძლებლობები.

ინოვაცია და გრძელვადიანი განვითარება

„ლამარია“ ორიენტირებულია მდგრად განვითარებაზე, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვასა და ინფრასტრუქტურულ გაძლიერებაზე. სკოლის მომავალი შენობის მშენებლობა ამ ხედვის მნიშვნელოვანი ნაწილია და ასახავს სკოლის მისწრაფებას, შექმნას ძლიერი, თანამედროვე და რეგიონული მნიშვნელობის საგანმანათლებლო ცენტრი.

II თავი. სტრატეგიული ჩარჩო

მიზანი 1. თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის განვითარება

სკოლის მიზანია უსაფრთხო, კეთილმოწყობილი და თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლა-სწავლების პროცესს, მოსწავლეთა კეთილდღეობას და მრავალმხრივ განვითარებას.

ამოცანა 1.1. უსაფრთხო და კეთილმოწყობილი სასკოლო გარემოს შექმნა

სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო, საერთო სარგებლობისა და ადმინისტრაციული სივრცეების მოწყობას უსაფრთხოების, ჰიგიენის, ხელმისაწვდომობისა და კომფორტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამოცანა 1.2. სასწავლო სივრცეების ტექნიკური აღჭურვა

სკოლა ეტაპობრივად განავითარებს თანამედროვე ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ციფრულ რესურსებს, სასწავლო ტექნიკას, ინტერნეტინფრასტრუქტურას და საგნობრივი სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს.

ამოცანა 1.3. სპორტული, საკლუბო და არაფორმალური განათლების სივრცეების განვითარება

სკოლა შექმნის პირობებს მოსწავლეთა ფიზიკური, შემოქმედებითი და სოციალური განვითარებისთვის, მათ შორის სპორტული დარბაზის, საკლუბო სივრცეებისა და სხვადასხვა აქტივობისთვის საჭირო გარემოს მოწყობით.

ამოცანა 1.4. საკუთარი სკოლის შენობის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება

სკოლა ეტაპობრივად განახორციელებს იმ ორგანიზაციულ, საპროექტო და ფინანსურ სამუშაოებს, რომლებიც აუცილებელია გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი სკოლის შენობის აშენებისთვის.

მიზანი 2. უნიკალური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება

სკოლის მიზანია ისეთი სასკოლო კულტურის შექმნა, რომელიც დაფუძნებული

იქნება ზრუნვაზე, ურთიერთპატივისცემაზე, პასუხისმგებლობაზე, თანამშრომლობასა და მაღალი მოლოდინების გარემოზე.

ამოცანა 2.1. უსაფრთხო, მზრუნველი და მხარდამჭერი სასკოლო გარემოს განვითარება

სკოლა დანერგავს მექანიზმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ემოციურ უსაფრთხოებას, ბულინგის პრევენციას, პოზიტიურ კომუნიკაციასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას.

ამოცანა 2.2. მშობელთან პარტნიორული ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება

სკოლა მშობელს განიხილავს როგორც სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან პარტნიორს და უზრუნველყოფს რეგულარულ, გამჭვირვალე და კონსტრუქციულ კომუნიკაციას მოსწავლის განვითარებისა და სკოლის საქმიანობის შესახებ.

ამოცანა 2.3. მოსწავლეთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის განვითარება

სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში, ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში, თვითმმართველობისა და სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებაში.

ამოცანა 2.4. სკოლის იდენტობისა და ტრადიციების ჩამოყალიბება

სკოლა შექმნის საკუთარ სასკოლო ტრადიციებს, ღონისძიებებს, სიმბოლურ და ღირებულებით პრაქტიკებს, რომლებიც გააძლიერებს „ლამარიას“ როგორც განსაკუთრებული სასკოლო საზოგადოების იდენტობას.

მიზანი 3. უნიკალური სასწავლო შინაარსისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სკოლის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნას გამორჩეული საგანმანათლებლო შეთავაზება, რომელიც გააერთიანებს აკადემიურ ხარისხს, გაძლიერებულ მიმართულებებს, არაფორმალურ განათლებასა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას.

ამოცანა 3.1. სასკოლო კურიკულუმის განვითარება

სკოლა შეიმუშავებს და ეტაპობრივად განავითარებს სასკოლო კურიკულუმს, რომელიც დაეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გაითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და სკოლის საგანმანათლებლო პრიორიტეტებს.

ამოცანა 3.2. გაძლიერებული უცხო ენების სწავლების მოდელის შექმნა

სკოლა განავითარებს უცხო ენების გაძლიერებული სწავლების სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საკომუნიკაციო, აკადემიური და კულტურათაშორისი კომპეტენციების განვითარებას.

ამოცანა 3.3. აკადემიური გაძლიერებისა და საკვირაო სკოლის მიმართულების განვითარება

სკოლა შექმნის დამატებითი აკადემიური მხარდაჭერისა და გაღრმავებული სწავლების შესაძლებლობებს, მათ შორის საკვირაო სკოლისა და საგნობრივი მომზადების ფორმატებით.

ამოცანა 3.4. კლუბური და არაფორმალური განათლების სისტემის განვითარება

სკოლა დანერგავს მრავალფეროვან კლუბურ მუშაობას, პროექტულ აქტივობებს, შემეცნებით ღონისძიებებსა და პრაქტიკულ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესების აღმოჩენასა და განვითარებას.

ამოცანა 3.5. სკოლამდელი განათლების მიმართულების განვითარება

სკოლა განავითარებს პრე-სქულის მიმართულებას, რომელიც ბავშვებს შეუქმნის მზრუნველ, უსაფრთხო და სასკოლო ცხოვრებისთვის მომზადებაზე ორიენტირებულ გარემოს.

მიზანი 4. პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების შიდასასკოლო სისტემის შექმნა

სკოლის მიზანია მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ისეთი შიდასასკოლო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან და, ამავდროულად, შექმნის პროფესიული ზრდის, კარიერული წინსვლისა და ხარისხზე ორიენტირებული სამუშაო კულტურის განვითარების შესაძლებლობებს სკოლის შიგნით.

ამოცანა 4.1. შიდასასკოლო პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება

სკოლა შეიმუშავებს პროფესიული განვითარების შიდასასკოლო სქემას, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის განვითარების მიმართულებებს, შეფასების მექანიზმებს, მხარდაჭერის ფორმებსა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს.

ამოცანა 4.2. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა და ინდივიდუალური განვითარების დაგეგმვა

სკოლა პერიოდულად შეისწავლის მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებს და მიღებული მონაცემების საფუძველზე დაგეგმავს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, მენტორინგსა და კოლეგიალურ მხარდაჭერას.

ამოცანა 4.3. კოლეგიალური თანამშრომლობისა და მენტორინგის სისტემის დანერგვა

სკოლა განავითარებს კოლეგიალური ურთიერთდასწრების, გამოცდილების გაზიარებისა და შიდასასკოლო მენტორინგის პრაქტიკას, როგორც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან მექანიზმს.

ამოცანა 4.4. პერსონალის შეფასების, წახალისებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმების განვითარება

სკოლა შექმნის სამართლიან, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემას, რომელიც პერსონალს მისცემს პროფესიული აღიარების, მოტივაციისა და შიდასასკოლო კარიერული ზრდის შესაძლებლობას.

მიზანი 5. „ლამარიას“ საგანმანათლებლო ჰაბად ჩამოყალიბება

სკოლის მიზანია, „ლამარია“ იქცეს საგარეჯოსა და კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც მოსწავლეებს, მშობლებსა და ადგილობრივ თემს შესთავაზებს მრავალფეროვან საგანმანათლებლო შესაძლებლობებს.

ამოცანა 5.1. რეგიონული საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება

სკოლა პერიოდულად შეისწავლის საგარეჯოსა და კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებებს, რათა საკუთარი პროგრამები და სერვისები მაქსიმალურად მოარგოს ადგილობრივ და რეგიონულ მოთხოვნებს.

ამოცანა 5.2. დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების განვითარება

სკოლა განავითარებს ისეთ საგანმანათლებლო მიმართულებებს, როგორიცაა საკვირაო სკოლა, საგნობრივი მომზადება, ენობრივი პროგრამები, კლუბები, ტრენინგები, შემეცნებითი და პრაქტიკული კურსები.

ამოცანა 5.3. პარტნიორული ქსელის შექმნა

სკოლა ითანამშრომლებს საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ, ადგილობრივ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, რათა გააფართოოს მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვისა და თემისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობები.

ამოცანა 5.4. სკოლის ცნობადობისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება

სკოლა განავითარებს გამჭვირვალე, აქტიურ და სანდო კომუნიკაციას საზოგადოებასთან, მათ შორის ვებგვერდის, სოციალური მედიის, საინფორმაციო შეხვედრებისა და ღია ღონისძიებების საშუალებით.

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
მიზანი N1: თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის განვითარება							
ამოცანა 1.1. უსაფრთხო და კეთილმოწყობილი სასკოლო გარემოს შექმნა							
1.1.1. სკოლის სივრცეების საჭიროებების შეფასება უსაფრთხოების, ჰიგიენის, ხელმისაწვდომობისა და კომფორტის მოთხოვნების გათვალისწინებით.							
1.1.2. სასწავლო, საერთო სარგებლობისა და ადმინისტრაციული სივრცეების მოწყობის/განახლების გეგმის შემუშავება.							
1.1.3. სასწავლო ოთახების მოწყობა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად.							
1.1.4. საერთო სარგებლობის სივრცეების მოწესრიგება უსაფრთხო, კეთილმოწყობილი და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად.							
ამოცანა 1.2: სასწავლო სივრცეების ტექნიკური აღჭურვა							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
1.2.1. სკოლის ინტერნეტინფრასტრუქტურისა და ციფრული რესურსების საჭიროებების განსაზღვრა.							
1.2.2. საკლასო ოთახების ეტაპობრივი აღჭურვა სასწავლო ტექნიკითა და ციფრული საშუალებებით.							
1.2.3. საგნობრივი სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შეძენა და განახლება.							
1.2.4. ტექნიკური ბაზის გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.							
ამოცანა 1.3: სპორტული, საკლუბო და არაფორმალური განათლების სივრცეების განვითარება							
1.3.1. სპორტული, საკლუბო და არაფორმალური განათლებისთვის საჭირო სივრცეების იდენტიფიცირება.							
1.3.2. სპორტული სივრცის მოწყობა/განვითარება მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების საჭიროებების შესაბამისად.							
1.3.3. საკლუბო მუშაობისა და არაფორმალური აქტივობებისთვის საჭირო სივრცეების მოწყობა.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
1.3.4. მოსწავლეთა შემოქმედებითი, სოციალური და პრაქტიკული აქტივობებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა.							
ამოცანა 1.4: საკუთარი სკოლის შენობის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება							
1.4.1. საკუთარი სკოლის შენობის მშენებლობისთვის საჭირო ორგანიზაციული და სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრა.							
1.4.2. საპროექტო სამუშაოებისთვის საჭირო ინფორმაციის, მოთხოვნებისა და კონცეფციის მომზადება.							
1.4.3. ფინანსური რესურსების მოძიებისა და პარტნიორული შესაძლებლობების განსაზღვრა სკოლის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით.							
1.4.4. სკოლის ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული ეტაპობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება და განახლება.							
მიზანი N2: უნიკალური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
ამოცანა 2.1: უსაფრთხო, მზრუნველი და მხარდამჭერი სასკოლო გარემოს განვითარება							
2.1.1. სასკოლო გარემოს უსაფრთხოების, ზრუნვისა და მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრა.							
2.1.2. ბულინგის პრევენციისა და პოზიტიური კომუნიკაციის შიდასასკოლო მექანიზმების შემუშავება.							
2.1.3. მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობისა და ადაპტაციის მხარდაჭერის სისტემის დანერგვა.							
2.1.4. უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემოს პერიოდული შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.							
ამოცანა 2.2: მშობელთან პარტნიორული ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება							
2.2.1. მშობლებთან კომუნიკაციის ფორმებისა და პერიოდულობის განსაზღვრა.							
2.2.2. მშობელთა ინფორმირებისა და უკუკავშირის შეგროვების მექანიზმის შემუშავება.							
2.2.3. მშობლებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების სისტემის დანერგვა.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
2.2.4. მშობელთა ჩართულობის შეფასება და პარტნიორული ურთიერთობის გაუმჯობესების გზების განსაზღვრა.							
ამოცანა 2.3: მოსწავლეთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის განვითარება							
2.3.1. მოსწავლეთა ინტერესებისა და ჩართულობის საჭიროებების შესწავლა.							
2.3.2. მოსწავლეთა თვითმმართველობისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა.							
2.3.3. მოსწავლეთა სოციალური პასუხისმგებლობისა და მოხალისეობრივი აქტივობების დაგეგმვა.							
2.3.4. მოსწავლეთა ჩართულობისა და პასუხისმგებლობის განვითარების შედეგების შეფასება.							
ამოცანა 2.4: სკოლის იდენტობისა და ტრადიციების ჩამოყალიბება							
2.4.1. სკოლის ღირებულებებისა და იდენტობის ამსახველი შიდასასკოლო პრაქტიკების განსაზღვრა							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
2.4.2. სკოლის ტრადიციული ღონისძიებებისა და კალენდრის შემუშავება.							
2.4.3. სკოლის სიმბოლიკის, საკომუნიკაციო სტილისა და საერთო სასკოლო იდენტობის განვითარება.							
2.4.4. სასკოლო ტრადიციების შეფასება, განახლება და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განვითარება.							
მიზანი N3: უნიკალური სასწავლო შინაარსისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება							
ამოცანა 3.1: სასკოლო კურიკულუმის განვითარება							
3.1.1. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის საგანმანათლებლო პრიორიტეტების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავება.							
3.1.2. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან.							
3.1.3. დიფერენცირებული, პროექტული და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების ინტეგრირება სასწავლო პროცესში.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
3.1.4. სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და საჭიროებისამებრ განახლება.							
ამოცანა 3.2: გაძლიერებული უცხო ენების სწავლების მოდელის შექმნა							
3.2.1. უცხო ენების სწავლების არსებული საჭიროებებისა და მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების შეფასების მექანიზმის შემუშავება.							
3.2.2. გაძლიერებული უცხო ენების სწავლების სასკოლო მოდელისა და საფეხურებრივი განვითარების გეგმის შექმნა.							
3.2.3. ენობრივი კლუბების, სასაუბრო პრაქტიკისა და დამატებითი აქტივობების დანერგვა.							
3.2.4. უცხო ენების სწავლების შედეგების პერიოდული შეფასება და პროგრამის გაუმჯობესება.							
ამოცანა 3.3: აკადემიური გაძლიერებისა და საკვირაო სკოლის მიმართულების განვითარება							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
3.3.1. მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებებისა და დამატებითი მხარდაჭერის მიმართულებების იდენტიფიცირება.							
3.3.2. საკვირაო სკოლის კონცეფციის, პროგრამებისა და ორგანიზაციული მოდელის შემუშავება.							
3.3.3. საგნობრივი გაძლიერებისა და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა.							
3.3.4. საკვირაო სკოლისა და აკადემიური გაძლიერების პროგრამების ეფექტიანობის შეფასება.							
ამოცანა 3.4: კლუბური და არაფორმალური განათლების სისტემის განვითარება							
3.4.1. მოსწავლეთა ინტერესების კვლევა კლუბური და არაფორმალური განათლების მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.							
3.4.2. სასკოლო კლუბების კონცეფციის, სამუშაო გეგმისა და რეგლამენტის შემუშავება.							
3.4.3. პროექტული, შემეცნებითი, შემოქმედებითი, სპორტული და სოციალური აქტივობების სისტემური დანერგვა.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
3.4.4. კლუბური და არაფორმალური განათლების პროგრამების შედეგების შეფასება და განვითარება.							
ამოცანა 3.5: სკოლამდელი განათლების მიმართულების განვითარება							
3.5.1. სკოლამდელი განათლების მიმართულების კონცეფციისა და ორგანიზაციული მოდელის შემუშავება.							
3.5.2. პრე-სქულის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის შექმნა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.							
3.5.3. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის უსაფრთხო, მზრუნველი და განმავითარებელი გარემოს უზრუნველყოფა.							
3.5.4. სკოლამდელი განათლების მიმართულების ხარისხის შეფასება და ეტაპობრივი განვითარება.							
მიზანი N4: პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარების შიდასასკოლო სისტემის შექმნა							
ამოცანა 4.1: შიდასასკოლო პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
4.1.1. მოქმედი კანონმდებლობისა და პროფესიული სტანდარტების შესწავლა შიდასასკოლო სქემის შემუშავების მიზნით.							
4.1.2. პროფესიული განვითარების შიდასასკოლო სქემის კონცეფციისა და მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება.							
4.1.3. პროფესიული განვითარების ეტაპების, კრიტერიუმებისა და მტკიცებულებათა სისტემის განსაზღვრა.							
4.1.4. შიდასასკოლო პროფესიული განვითარების სქემის დანერგვა, მონიტორინგი და პერიოდული განახლება.							
ამოცანა 4.2: მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა და ინდივიდუალური განვითარების დაგეგმვა							
4.2.1. მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევის სისტემის შემუშავება.							
4.2.2. პროფესიული საჭიროებების პერიოდული კვლევა და შედეგების ანალიზი.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
4.2.3. ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავება და განხორციელების მხარდაჭერა.							
4.2.4. პროფესიული განვითარების შედეგების შეფასება და გეგმების განახლება.							
ამოცანა 4.3: კოლეგიალური თანამშრომლობისა და მენტორინგის სისტემის დანერგვა							
4.3.1. კოლეგიალური თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მოდელის შემუშავება.							
4.3.2. ურთიერთდასწრების, პროფესიული დიალოგისა და უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა.							
4.3.3. ახალი და ნაკლები გამოცდილების მქონე თანამშრომლებისთვის მენტორინგის სისტემის შექმნა.							
4.3.4. კოლეგიალური თანამშრომლობისა და მენტორინგის შედეგების შეფასება და განვითარება.							
ამოცანა 4.4: პერსონალის შეფასების, წახალისებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმების განვითარება							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
4.4.1. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა.							
4.4.2. პროფესიული მიღწევებისა და ინოვაციური საქმიანობის წახალისების მექანიზმების განსაზღვრა.							
4.4.3. შიდასასკოლო კარიერული განვითარების საფეხურებისა და დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება.							
4.4.4. კარიერული წინსვლის, პროფესიული აღიარებისა და მოტივაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება და გაუმჯობესება.							
მიზანი N5: „ლამარიას“ საგანმანათლებლო ჰაბად ჩამოყალიბება							
ამოცანა 5.1: რეგიონული საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება							
5.1.1. საგარეჯოსა და კახეთის რეგიონის საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლის მექანიზმის შემუშავება.							
5.1.2. პოტენციური მოსწავლეების, მშობლებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებების პერიოდული კვლევა.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
5.1.3. კვლევის შედეგების ანალიზი და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა.							
5.1.4. რეგიონული საჭიროებების გათვალისწინებით სკოლის საგანმანათლებლო შეთავაზების პერიოდული განახლება.							
ამოცანა 5.2: დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების განვითარება							
5.2.1. საკვირაო სკოლის, ენობრივი პროგრამების, კლუბებისა და დამატებითი კურსების კონცეფციის შემუშავება.							
5.2.2. დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების ორგანიზაციული მოდელისა და სამუშაო რეგლამენტის განსაზღვრა.							
5.2.3. საგნობრივი, ენობრივი, შემეცნებითი, სპორტული და პრაქტიკული პროგრამების ეტაპობრივი დანერგვა.							
5.2.4. დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასება.							
ამოცანა 5.3: პარტნიორული ქსელის შექმნა							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
5.3.1. საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ადგილობრივი პარტნიორების იდენტიფიცირება.							
5.3.2. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმატებისა და მიმართულებების განსაზღვრა.							
5.3.3. ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და სოციალური პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.							
5.3.4. პარტნიორობის შედეგების შეფასება და თანამშრომლობის ქსელის გაფართოება.							
ამოცანა 5.4: სკოლის ცნობადობისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება							
5.4.1. სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმის შემუშავება.							
5.4.2. სკოლის ვებგვერდის, სოციალური მედიისა და საინფორმაციო არხების განვითარება.							

წლები	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
5.4.3. ღია კარის დღეების, საინფორმაციო შეხვედრებისა და თემთან კომუნიკაციის ღონისძიებების ორგანიზება.							
5.4.4. სკოლის ცნობადობის, საზოგადოებრივი ნდობისა და კომუნიკაციის ეფექტიანობის პერიოდული შეფასება.							

III თავი. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგი წარმოადგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს. მისი მიზანია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების დინამიკის შეფასება, გამოწვევების დროული იდენტიფიცირება და განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღება.

მონიტორინგის ძირითადი მექანიზმები

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

- წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიული მიზნების შესაბამისად;
- ამოცანებისა და აქტივობების შესრულების პერიოდული შეფასება;
- სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის შეგროვება;
- მოსწავლეთა აკადემიური და სოციალური განვითარების მონაცემების ანალიზი;
- პერსონალის პროფესიული განვითარების შედეგების შეფასება;
- ინფრასტრუქტურული და ტექნიკური ბაზის მდგომარეობის პერიოდული მონიტორინგი;
- წლიური ანგარიშის მომზადება და განხილვა.

შეფასების პერიოდულობა

სტრატეგიული გეგმის შესრულება შეფასდება:

- მიმდინარე მონიტორინგით — სასწავლო წლის განმავლობაში;
- სემესტრული შეფასებით — შუალედური პროგრესის დასადგენად;

- წლიური შეფასებით — სამოქმედო გეგმის შესრულების შესაჯამებლად;
- სტრატეგიული გეგმის შუალედური გადახედვით — საჭიროების შემთხვევაში, განვითარების ახალი საჭიროებებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

პასუხისმგებელი პირები

სტრატეგიული გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ნაწილდება სკოლის დირექციას, ადმინისტრაციულ გუნდს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, კათედრებს, პედაგოგიურ პერსონალსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის საერთო კოორდინაციას, ხოლო შესაბამისი პასუხისმგებელი პირები — კონკრეტული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებას, მონიტორინგსა და ანგარიშგებას.

დასკვნა

შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს სკოლის მისწრაფებას, შექმნას ძლიერი, სანდო და თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უპასუხებს საგარეჯოსა და კახეთის რეგიონის საჭიროებებს.

გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს უსაფრთხო და მზრუნველი სასკოლო გარემოს განვითარებას, გამორჩეული სასწავლო შინაარსის შექმნას, პროფესიონალთა გუნდის გაძლიერებას და „ლამარიას“ ჩამოყალიბებას რეგიონული მნიშვნელობის საგანმანათლებლო ჰაბად.